პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

შემაჯამებელ დავალებებში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზების და შედეგის გაუმჯობესების გზების კვლევა გეოგრაფიის გაკვეთილზე

სამიზნე ჯგუფი-VII კლასი

შპს კერძო სკოლა ,,ოქროს აკვანის“ გეოგრაფიის მასწავლებელი _მირანდა ფორჩხიძე

სარჩევი

შესავალი ----------4

თავი 1

1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა.----------6
1.2 კვლევის მიზნები და ამოცანები_____6
1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები და მათი გადაჭრის გზები _____7
1.4 საკვლევი კითხვების ფორმულირება----------8

თავი 2

ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები_____10

2.2 შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება_____14

თავი 3

3.1 კვლევის მეთოდების განხილვა_____17

3.2 ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა_____19
3.3 ინტერვენციის შედეგები და მონაცემთა ანალიზი _____20
3.4 პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა _____30

თავი 4
პროექტის ვადები, მიგნებები , რეკომენდაციები, დასკვნა ,ბიბლიოგრაფია.

4.1 კვლევის ვადები_____31

4.2 დასკვნა: _____34

4.3 ბიბლიოგრაფია _____35

4.4 დანართები_____37

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ _____43

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, კერძო სკოლა ,,ოქროს აკვანის“ მე- 7-ე კლასში , შემაჯამებელ დავალებებში დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზები და შედეგის გაუმჯობესების საკითხი. ყურადრება გამახვილებულია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე და მისი გადაჭრის შესაძლებლობებზე. მოგეხსენებათ აკადემიური მოსწრება ფართო მასშტაბიანი საკითხია და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განათლების სისტემისთვის. მოსწავლეთა შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია შემაჯამებელი შეფასება . მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ყველა შემაჯამებელი დავალება. ამიტომ მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ მიმართულებით გამოვლენილ პრობლემებს.

ჩემს მიერ წარმოდგენილია ნაშრომი _ პრაქტიკული კვლევის ანგარიში. კვლევის ანგარიშში განხილულია გეოგრაფიის შემაჯამებელი დავალებების დაბალი შეფასების მიზეზები მეშვიდე კლასში და მათ აღმოსაფხვრელად განხორციელებული ღონისძიებები. კვლევა მოიცავს პრობლემის შესწავლის, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა -განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს. მოცემული საკითხის კვლევისთვის შევიმუშავე გეგმა, რომლის მიზანიც იყო სასწავლო პროცესში აკადემიური მოსწრების ხარისხის გაუმჯობესება, ცოდნის დონის ამაღლება. კვლევა ჩატარდა, როგორც თვისებრივი ,ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ინსტრუმენტებს კი წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფი, დაკვირვება , ანკეტირება და კითხვარი. შედეგის მისაღწევად გამოყენებული იქნა ინტერვენციები, რომლებიც კვლევის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე დაიგეგმა.

ნაშრომი შედგება 4 თავისგან. **1 თავში** მოცემულია საკვლევი საკითხის მიმოხილვა , პრობლემის აქტუალობა , სამიზნე ჯგუფი , კვლევის მიზნები და ამოცანები, პრობლემის გამომწვევი მიზეზები

ლიტერატურა –მოსწავლის შეფასების შესახებ.

I I I თავში განხილულია საკვლევი კითხვები . IV თავში კვლევის მეთოდებია განხილული, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი. V თავი ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი . VI თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს და სკოლაში მის დანერგვას. VII თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიას და პროექტის ვადებს .აღწერილია კვლევის ჯგუფის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები. ანგარიშს თან ერთვის დასკვნა ,ბიბლიოგრაფია და დანართი. ძირითადი საძიებო სიტყვები: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, ცოდნის დონის ამაღლება, ჯგუფური მუშაობის ფორმები, ეფექტური სწავლების სტრატეგიები

ნაშრომი შედგება ოთხი თავისგან. პირველ თავში განხილულია ლიტერატურა და პრაქტიკის კველევის არსი. მეორე თავში მოცემულია ინფორმაცია სამიზნე ჯგუფის შესახებ. საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები. საკვლევი საკითხის აქტუალობა და განხორციელების ვადები.

მესამე თავში განხილულია კვლევის მეთოდები და ინტერვენციები . ასევე მოიცავს ინტერვენციების შედეგებს და მონააცემთა ანალიზს.

მეოთხე თავში აღწერილია კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები. კვლევის რეფლექსია ანგარიშს ერთვის დასკვნა, ბიბლიოგრაფია და დანართი.

თავი 1

1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა.

პრაქტიკული კვლევის მიზანია გეოგრაფიის შემაჯამებელ დავალებებში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზების კვლევა და შედეგის გაუმჯობესება .

პრობლემის აქტუალობის დასაბუთება.

მოსწავლეთა უმეტესობა მიმდინარე შეფასებაში მაღალი აკადემიური შედეგით გამოირჩევა, თუმცა შემაჯამებელ დავალებებში ისინი ავლენენ დაბალი აკადემიურ შედეგს. მათ ნაკლებად გააჩნიათ სწავლისადმი შინაგანი და გარეგანი მოტივაცია . არ აქვთ საკუთარი შესაძლებლობის რწმენა, თავდაჯერებულობის უნარი. თავს იკავებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან. უჭირთ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული აღქმა, კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენება. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ საკითხზე კვლევის ჩატარება, რომ დამედგინა მიზეზი და შესაბამისად ინტერვენციების დახმარებით მიმეღწია მიზნისთვის.

სკოლა და სამიზნე ჯგუფის შესახებ

კერძო სკოლა ,,ოქროს აკვანი" მდებარეობს ქ. თბილისის , ისანი _სამგორის რაიონში. სკოლა დაარსდა 2004 წელს. მისი დამფუძნებელია_ ქალბატონი: მ. მიქაძე. სკოლაში სწავლობს 250_ მდე მოსწავლე. სკოლაში დასაქმებულია 30 -მდე პედაგოგი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მე–7 კლასის მოსწავლეებმა (19 მოსწავლე, ნოემბრიდან დაგვემატა ერთი მოსწავლე და სულ 20 მოსწავლე).

კვლევეში ჩართული იყო ყველა. მათ შორის არა არის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. კვლევა განხორციელდა 2019–2020 სასწავლო წელს პირველ სემსტრში, სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით.

1.2 კვლევის მიზნები და ამოცანები

უნდა ავღნიშნო , რომ სკოლებში საბაზო საფეხურზე გეოგრაფიაში, ერთ–ერთი მთავარი პრობლემაა შემაჯამებელი სამუშაოების დაბალი შედეგები. განსაკუთრებით სწავლების პირველ წელს, როდესაც ახალი საგნები ემატება კლასს, რთულდება საკითხები: შემოდის ახალი კონსტრუქციები, საჭიროა თეორიული მასალის პრაქტიკული აღქმა, სივრცეში ორიენტირება. მოსწავლეებს უჭირთ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნის გათავისება და ტრანსფერი. არსებული პრობლემის იდენფიცირებისა და შედეგის გაუმჯობესების მიზნით 2019–2020 სასწავლო წელს პირველ სემესტრში ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

კვლევის მიზანია დადგინდეს მეშვიდე კლასში გეოგრაფიის შემაჯამებელი დავალებების დაბალი შედეგების მიზეზები და დაიგეგმოს მათ აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ქმედებები. გაუმჯობესდეს შედეგი შემაჯამებელ დავალებებში, ასევე ამაღლდეს ცოდნის დონე და ხარისხი.

1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები და მათი გადაჭრის გზები

რა შეიძლება იყოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები?
პრობლემის ზუსტად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ **კვლევის მთავარი კითხვა:**

რა არის მეშვიდე კლასში გეოგრაფიის გაკვეთილზე შემაჯამებელ დავალებათა დაბალი შედეგების მიზეზები?

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების ძიების დროს გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო საკითხი:

1. გეოგრაფიის საგანი მათთვის ახალია, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო საგნები . ისინი რთულად აღიქვავენ ბუნებიდან გეოგრაფიაზე გადასვლას. ბუნებაში შედრაებით ადვილ შემაჯამებელ დავალებებს ასრულებენ. ამიტომ, როდესაც დავალებები რთულდება, მათ უჭირთ მათი შესრულება. უჭირთ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის დაძლევა.
2. როდესაც მოსწავლეებს უხდებათ კონკრეტული თემის მრავალმხრივი თეორიული განხილვა, მათ უმრავლესობას უჭირს ცოდნის მობილიზება. მობილიზდებიან მხოლოდ ერთ გაკვეთილზე , ერთი საკითხის ირგვლივ, ხოლო მომდევნო გაკვეთილზე წინარე ცოდნის გამოყენება ძალიან უჭირთ, შესაბამისად შედეგიც დაბალია. განსაკუთრებით მათ უჭირთ თეორიული მასალის პრაქტიკული აღქმა, სივრცეში ორიენტირება. მაშინ როდესაც ძალიან ბევრს ვმუშაობთ გაკვეთილზე და ასევე პრაქტიკულ დავალებებს ასრულებენ სახლშიც.

3. შემაჯამებელ სამუშაოებში მოსწავლეთა დაბალი შედეგების მიზეზი შეიძლება იყოს პროგრამის გართულება, დავალებების გართულება, განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლე ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს განმსაზღვრელი შეფასების არსს.

დასკვნა:

მოგეხსენებათ საბაზო საფეხურის მოსწავლეებს უჭირთ დავალებების შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ მიჩვეულები არიან სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებს შემაჯამებელში. ეს იმით შემიძლია ავხსნა, რომ გეოგრაფია მათთვის უცხო საგანია, რომელიც მე-7_ე კლასიდან ისწავლება. ასევე მათ ემეტებათ სხვადასხვა საგანი: ბიოლოგია, ქიმია , ფიზიკა. ჯერ კიდევ არ იცის ყველა მოსწავლემ, თუ როგორ მოემზადონ, მობილიზდენ იმისთვის , რომ შეძლონ ყველა მიმართულების დავალებას გაართვან ერთდროულად თავი. მათ სჭირდებათ გარკვეული პერიოდი, რათა მოახდინონ ახალ საგნებთან მიმართებაში ადაპტაცია.

ამ კლასში მასწავლებელი ცდილობს შედარებით ადვილი შემაჯამებელი დავალებები მისცეს მოსწავლეებს. მე–7 კლასიდან მოსწავლეებს უწევთ მიეჩვიონ ისეთი შემაჯამებელი დავალებების შესრულებას, რომელიც შეამოწმებს მათ უნარ–ჩვევებს

საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ყველა მიმართულებით . რადგან ასეთი დავალებები მათთვის ახალია, მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს მაღალი და საშუალო შეფასების მიღება.

1.4 საკვლევი კითხვების ფორმულირება

ესგ–ს მიხედვით გეოგრაფიის საგნის შემაჯამებელი წერების მოთხოვნებში შედის: განუვითაროს მოსწავლეებს ორიენტირების უნარი სივრცესა და დროში. სხვადასხვა თვალსაჩინოების კითხვის უნარი ინფორმაციის მოსაპოვებლად, სხვადასხვა ტიპის წყაროდან (რუკა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა, აერო და კოსმოსური სურათები, მულტიმედია საშუალებები) ინფორმაციის ამოკითხვა და გაანალიზება; კვლევის შედეგების ცხრილების, გრაფიკების და დიაგრამების სახით წარმოდგენა. გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება, გეოგრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობის გააზრება საზოგადოების განვითარებისთვის, ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ზეგავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე,
გარემოსდაცვითი ღონისძიებების აუცილებლობის შესახებ მსჯელობის უნარი. დემოგრაფიული მახასიათებლების და განსახლების თავისებურებების შესახებ მსჯელობის უნარები.

ამიტომ შემაჯამებელ ტესტებში შემაქვს დავალებები სხვადასხვა მიმართულებით.

პრაქტიკული კვლევის მიზანია გამოვიკვლიო, რომელი მიმართულების დავალებაა მოსწავლეებისთვის უფრო რთული და რატომ. ასევე მოსწავლეთა შედეგის გაუმჯობესების გზების ძიება შემაჯამებელ სამუშაოში, მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

კვლევის მთავარი კითხვაა, ჩემი სამუშაო პერიოდის განმავლობაში (7 წელი), თუ რა არის მიზეზი მე–7 კლასში, გეოგრაფიის შემაჯამებელ სამუშაოებში დაბალი აკადემიური მოსწრებისა.

მთავარი საკვლევი საკითხებია:

- შემაჯამებელი სამუშაოების მრავალფეროვანი ტიპების გამოყენების გავლენა, შემაჯამებელი სამუშაოს შედეგზე
- მოსწავლეთა ინტერესის არეალის გაგება და მორგება შემაჯამებელი საუშაოზე.
- შეესაბამება თუ არა დავალებები მათ ინტერესებს.
- რა ტიპის დავალებები არის მათთვის უფრო საინტერესო.
- დავალებების შესაბამისობა მათ საჭიროებებთან.
- ჩემს მიერ მიწოდებული დავალების არსის წვდომა.
- არის თუ არა სირთულე დავალებების მოცულობაში.
- დროის ფაქტორის გავლენა თითოეული დავალების შესრულებისას.

- პრობლემის მიზეზი არის თუ არა სწავლისათვის შესაბამისი უნარ_ჩვევების არქონა .
- რა შეიძლენა დაეხმაროთ მათ შედეგის გაუმჯობესებაში.
- გაუმჯობესდება თუარა შედეგი თუ სხვა ტიპის დავალებებს შეასრულებენ.

მოსალოდნელი შედეგები:

ვფიქრობ,აღნიშნული კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდება პრობლემათა იდენტიფიცირება და მიზანმიმართულად დაგეგმილი ინტერვენციების შედეგად მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდება მოსწავლეთა შედეგები

კვლევის განხორციელება საინტერესო იქნება საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებისთვისაც, რადგან შემაჯამებელი დავალებებთან დაკავშირებული სირთულეები თითოეული საგნის სწავლების თანმდევი მოვლენაა. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავეთ კვლევის გეგმა.

თავი 2

ლიტერატურის მიმიხილვა

2.1 მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია მეთოდური სახელმძღვანელოები ქართველი ექსპერტებისა და განათლების სპეციალისტების ავტორობით, ასევე მასალები ინტერნეტში განთავსებული სტატიები, პედაგოგთთვის განკუთვნილი ლიტერატურიდან; ერთ-ერთი მაგთანია სტატია- **სასკოლო შეფასების მიზანი ,** (რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი) სტატიაში გამოკვეთილია **შეფასების პრინციპები და მიდგომები,** რომ აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი, რათა მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, როგორც ამას მოითხოვს ეროვნული სასწავლო გეგმა და, მეორე მხრივ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების თანაბარი პირობები შეუქმნას განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლეს. მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს მოსწავლის შეფასებას

მრავალგვარი კრიტერიუმის გამოყენებით და მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით, რაც მოსწავლეებს მისცემს არამხოლოდ ცოდნის, არამედ უნარ-ჩვევების ფართო სპექტრისა და აზროვნების განსხვავებული ფორმების დემონსტრირების საშუალებას.

ნაშრომში გამოყენებულია მასალები საიტზე maswavlebeli.ge გამოქვეყნებული სტატიებიდან. ერთ–ერთი მაგთანი, რომელიც მინდა გამოვყო ეს არის – **მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში** (ავტორი:მანანა ბაქრაძე) სტატიაში გამოკვეთილია სწავლა-სწავლების პროცესში რა მეთოდი უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა. ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი შეფასების პრინციპების დაცვაა:

- სანდოობა - მკაფიო და ნათელი კრიტერიუმები და ზუსტი ინსტრუქციები
- ვალიდურობა - საკითხთან შესაბამისი შეფსების კრიტერიუმები
- ობიექტურობა - შეფასება არ არის დამოკიდებული შემფასებლის სურვილსა და მოსაზრებებზე
- გამჭვირვალობა - შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები ცნობილია ყველასათვის

ყოველივე ამის გათვალისწინების შედეგად, მოსწავლეს საშუალება ეძლევა უფრო კარგად მოემზადოს, ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან საკითხებზე. შესაბამისად, მისთვის აღარ არის მოულოდნელი, თუ რა შეფასებას მიიღებს. შეფასების სანდოობა უზრუნველყოფს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ საკითხებსა და დავალებების ინსტრუქციებს.

რაც შეეხება კონკრეტულად შემაჯამებელი სამუშაოს, დავალება უნდა იყოს ვალიდური და სანდო. სწორედ იმ ცოდნას უნდა ზომავდეს, რის გაზომვასაც ეს კონკრეტული სამუშაო ისახავს მიზნად. ასევე უნდა იყოს გაზომვადი. შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით. წინასწარ უნდა იყოს დადგენილი ქულების რაოდენობა სწორი პასუხისთვის; შეფასების მექანიზმი უნდა იყოს მკაფიო და ცალსახა; იგი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები; გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა; ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს

მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მოსწავლე წინასწარ არის ინფორმირებული თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით არსებობს შეფასების ორი უმნიშვნელოვანესი ტიპი, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელ სისტემურ ნაწილს წარმოადგენს – განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმის ცოდნა, თუ როდის და რა კონკრეტული მიზნისათვის უნდა გამოვიყენო შეფასების ეს ფორმები.

1. „ განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
2. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა“.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების არწერილობა:

	განმსაზღვრელი	განმავითარებელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება: წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა: მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება: მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება: ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება: ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება:	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება: ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება: ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოენების უნარის შეფასება:
წარმარტების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან / წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ... მოსწავლეები: თვითშეფასებით: ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

<u>მიმდინარე შეფასება</u>

მიმდინარე შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესში ინფორმაციის დაზუსტებას იმის შესახებ, თუ რა იციან მოსწავლეებმა, რათა შემდგომი ეტაპი ცოდნისა დააშენონ არსებულს.

2.2 შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

ახალი ეროვნულისასწავლო გეგმის მიხედვით შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა. იმისათვის, რომ სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ, ვიყენებთ შემაჯამებელი დავალების სხვადასხვა ფორმას , თითოეული მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს ყველა შემაჯამებელი დავალება

ე. ი. შემაჯამებელი სამუშაოები მოსწავლის შეფასების და მისი გაკვეთილზე მიღებული ცოდნის გამოვლენის ერთერთი მეთოდია, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტები უკავშირდება სწავლა–სწავლების შედეგს. სწორედ ამ კომპონენტებით მოწმდება და ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, საკითხი) შესწავლის შედეგად მიღწეული შედეგები. შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს გეოგრაფიის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდირებულია შემაჯამებელ დავალებათა სხვადასხვა ფორმების გამოყენება.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- *პროექტი სხვადასხვა გეოგრაფიულ ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების შექმნა.*
- *ესე*
- *კითხვა-პასუხი, ტესტირება*
- *პრეზენტაცია*
- *რეფერატი*
- *კვლევა*
- *დისკუსია/დებატები*
- *კონფერენცია*

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების ყველა ამ მეთოდს საერთო მიზანი აქვს – მათი საშუალებით გროვდება ინფორმაცია მოსწავლეების წარმატებებისა და მათი პრობლემების შესახებ და აქედან გამომდინარე, იგეგმება სწავლების შემდგომი ეტაპი. მეორე მხრივ განსხვავებულია ცალკეული შეფასების მეთოდის როგორც ფორმა ისე მნიშვნელობა და კონკრეტული მიზანი.
გეოგრაფიაში მასწავლებლები თვითონ ადგენენ ტესტებს. არჩევენ დავალების ტიპს თემის სირთულის მიხედვით. შესაძლებელია შემაჯამებელი სამუშაო იყოს კომბინირებული, სხვადასხვა დავალებების ტიპებისგან შემდგარი. ასეთი შემაჯამებელი ყოველთვის მრავალფეროვანია და სხვადასხვა უნარჩვევებს ამოწმებს. რაც სრულყოფილად აკმაყოფილებს ესგ–ის მოთხოვნებს.

შეფასების რუბრიკის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი:

1. შემაჯამებელმა დავალებამ უნდა შეაფასოს ის, რაც მოსწავლეებმაკონკრეტული თემის გავლის შედეგად ისწავლეს;

2. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილი უნდა იყოს მოსწავლეთათვის;

3. შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და არ იძლეოდეს ინტერპრეტირების საშუალებას;

4. შეფასების რუბრიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს სტანდარტის ის
შედეგები, რომლის ათვისებასაც ემსახურებოდა გავლილი თემა;

5. შეფასების კრიტერიუმებს შორის ქულები გადანაწილებული უნდა იყოს გონივრულად;

6. მრავალ დონიანი შეფასების რუბრიკის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსალოდნელი რისკები და შესაძლო შედეგები. მოსწრების საერთო შეფასება ღია უნდა იყოს. მოსწავლეები მუშაობის დაწყებამდე უნდა ხედავდნენ შესაფასებელ ამოცანებს და ქულების გამოთვლის პრინციპებს. ისინი უკეთ იქნებიან სწავლაზე კონცენტრირებული, თუ ეცოდინებათ, რის წინაშე დგანან და რას უნდა ელოდნენ. მაგალითად, მრავალქულიან ტესტებზე მუშაობის დაწყების წინ მოსწავლეებმა უნდა განიხილონ ქულების გამოთვლის სისტემა თითოეული ამოცანისათვის, რაც გარკვეულწილად დაეხმარებათ იმის დადგენაში, თუ რას ელის მასწავლებელი მათგან. ეს მათ მუშაობის დაწყებამდეც აძლევს უკუკავშირს და ეხმარება ობიექტური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში.

თავი 3

3.1 კვლევის მეთოდების განხილვა

ჩემი საკვლევი თემაა, თუ როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ შემაჯამებელ დავალებებში აკადემიური მიღწევები გამოვიყენე **კვლევის მეთოდი-** ანკეტირება (წერილობითი გამოკითხვა);დაკვირვება;ინტერვიუ

კვლევის მეთოდოლოგია.დაკვირვება ინფორმაციის შეგროვების მეთოდია, რომლის დროსაც მკვლევარი აკვირდება მოქმედებას. იგი ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია და გავრცელებულია პედაგოგიურ პრაქტიკაში.

დაკვირვება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისობრივ მეთოდს წარმოადგენს, რომლის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ის ბუნებრივ გარემოში ხორციელდება. ითვლება, რომ დაკვირვების ყველაზე მიზანშეწონილი ობიექტია ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე მეორდება დღიდან დღემდე. ეს შეიძლება იყოს სასწავლო პროცესი სკოლაში, ურთიერთობა თანამშრომლებს შორის სამუშაო საათებში და სხვა. დაკვირვება არის ჩართული ან უბრალო. ჩვენ აღნიშნული კველევსისას გამოვიყენეთ ჩართული დაკვირვება. დაკვირვება ძირითადად გამოიყენება კვლევის სწაყის ეტაპზე, სხვა მეთოდებთან ერთად.

პირველ ეტაპზე განხორციელდა **კვლევა 1** აღნიშნული სკოლის პედაგოგებთან. კვლევის ტიპი ანკეტირება. კოლეგებს, რომლებსაც უხდებოდათ საგაკვეთილო ურთიერთობა მეშვიდე კლასთან , ვკითხე აზრი მათი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, რა შედეგს ავლენდნენ შემაჯამებელი დავალების შესრულების დროს ზემოთხსენებული კლასი. რამდენად რთულ დავალებებს იყენებენ თემის შეჯამებისას და რა მოსამზადებელ ეტაპებს გადიან შემაჯამებელის დაწერამდე.
რამდენად ეფექტურად თვლიან ისტ-ის და სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. უწყობს თუ არა ხელს საგაკვეთილო პროცესის ასეთი დატვირთვა მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და ახალი ინფორმაციის განმტკიცება გააზრებას მოსწავლეებში?

კველევის შედეგების ობიექტური და მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის მისაღებად ჩავატარე რამოდენიმე სხვადასხვა ტიპის კველევა. რისი მეშვეობითაც ვიკვლიე უშუალოდ სამიზნე ჯგუფის დამოკიდებულება. პედაგოგთა მიდგომები საკვლევი საკითხის მიმართ.

ანკეტისთვის დახურულ კითხვებთან ერთად ღია კითხვებიც შევარჩიე, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ზოგადი პრობლემა, რომ მოსწავლეების მოტივაცია მაღალია , ასევე ჩართულობა მიმდინარე სასწავლო პროცესში აქტიურია , თუმცა დაკვირვების შედეგად გამოჩნდა , რომ მათ აქვთ ყურადღების დეფიციტი. მარტივად აღიქვავენ ახალ მასალას , თუმცა ზედაპირულად. ვერ ახერხებენ მიღებული ინფორმაციის ხანგრძლივად დამახსოვრებას. ეს კი დაკავშირებულია იმ ფაქტთან რომ, არცთუ ისე ხშირად ვიყენებ სწავლების სხვადასხვა ინტერაქტიულ სტრატეგიებს და ამასთანავე ტექნოლოგიებს. ზემოთხსენებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიმუშავე მეთოდები (დიფერენცირებული სწავლება,ილუსტრაციების აქტიურად გამოყენება, ისტ -ის გამოყენება learningapps.org პროგრამის საშუალებით), რომელიც დამეხმარება მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართულობის გაზრდაში და ახალი ინფორმაციის განმტკიცება გააზრებაში. დავგეგმე ინტერვენციები .

ინტერვენციის ეტაპზე სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალების გამოყენება, ასევე წინა მოსამზადებელი პერიოდში ისტ_ის აქტიური ჩართულობა, ილუსტრაციების აქტიური გამოყენება სხვადასხვა საკითხებთან , მიმართებაში დამეხმარა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაში. თითოეული აქტივობა და შემაჯამებელი დავალების ტიპი პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს.

დასკვნა: ვფიქრობ, რომ სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ისტ_ის აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, ელექტრონული რესურსების და ვიზუალური თვალსაჩინოების აქტიური გამოყენება საკითხიდან გამომდინარე. ასევე საჭიროა მშობელთა აქტიური ჩართულობა.ბგანხორციელებული კვლევის საფუძველზე მივიღე შედეგი, ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება შემაჯამებელ წერებში.

კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა ანკეტირება მოსწავლეებთან, სადაც მოსწავლეები თავად აფასებენ საკუთარ შედეგებს.

3.2 ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

საკუთარმა პრაქტიკამ მიჩვენა, რომ მეშვიდე კლასში შემაჯამებელ დავალებებში აკადემიური მოსწრების მხრივ ყოველთვის (7 წელი) არასახარბიელო მდგომარეობა იყო. გადავწყვიტე ჩამეტარებინა ანკეტირება კოლეგებთან , გამეგეო მათი პოზიცია არსებულ ვითარებასტან მიმართებაში და გამერკვია მიზები.

- *კოლეგების გამოკითხვა (ინტერვიუ) და ანკეტირება. ჩატარდა ინტერვიუ და შეავსეს კითხვარები იმ კოლეგებმა, რომლებსაც მუშაობა უხდებათ მეშვიდე კლასში. მათ სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა გამოკითხვაში.*

- *მონაცემთა ანალიზი. ანკეტირებისა და ინტერვიუს შემდეგ გაკეთდა მონაცემთა ანალიზი.*
- *მონაცემთა ანალიზის შემდეგ I შემაჯამებელი სამუშაოს დაგეგმვა და მოსწავლეთა მომზადება შემაჯამებელი დავალების საკითხებში.*
- *I ინტერვენციის განხორციელება._ ისტ_ის აქტიური ჩართვა , კერძოდ ელექტრონული სასწავლო რესურსების (https://learningapps.org) და ვიზუალური მასალის აქტიური ჩართულობა წინა მოსამზადებელ პერიოდში.*
- *I შემაჯამებელის ჩატარება.*
- *მონაცემთა ანალიზი. (შემაჯამებელის შემდეგ გაკეთდა მონაცემთა ანალიზი. გამოიკვეთა შედეგი).*

- *მოსწავლეთა პირველი ანკეტირების დაგეგმვა და ჩატარება. (დავგეგმე ანკეტირების ვადა და ჩავატარე. მოსწავლეებმა შეავსეს ანკეტა 1.)*
  - *მონაცემთა ანალიზი. ანკეტირებისა შემდეგ გაკეთდა მონაცემთა ანალიზი.*
  - *II ინტერვენციის განხორციელება_ მშობლებთან კონტაქტი, მშობელთა აქტიური ჩართულობა წინა მოსამზადებელ პერიოდში.*
  - *II შემაჯამებელის ჩატარება.*
  - *მონაცემთა ანალიზი. (შემაჯამებელის შემდეგ გაკეთდა მონაცემთა ანალიზი. გამოიკვეთა შედეგი).*
- *მოსწავლეთა ანკეტირება (მოსწავლეებმა შეავსეს ანკეტა 2.) . ჩატარდა ანკეტირება დამამთავრებელ ეტაპზე კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით.*

3.3 ინტერვენციის შედეგები და მონაცემთა ანალიზი

პირველ ეტაპზე ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში

მონაწილეობა მიიღო 7_მა პედაგოგმა. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ იყენებს შერეული ტიპის ტესტებს, რომელიც შედგება როგორც ღია , ასევე დახურული შეკითხვებისგან.

შემაჯამებელი აერთიანებს 10-12 საკითხს და შემოიფარგლება 10 შეკითხვით. მცირე დოზით საბუნებისმეტყველო დარგები ავლენენ მაღალ სააზროვნო უნარებს. თითოეული პედაგოგი შემაჯამებელის წერამდე აწვდის ვადებს მოსწავლეებს და აცნობს მსგავსი ტიპის დავალებებს. ასევე აწვდიან ინსტრუქციებს . შემაჯამებელი დავალებების რეიტინგული ქულა შეადგენს საბუნებისმეტყველო საგნებში 3, 5, 7, 8 ქულას, თუმსც აღნიშნავენ რომ არ არიან კმაყოფილნი მიღებული შედეგებით. მოსწავლეთა უმრავლესობა სხვა საგნებშიც დაბალ შედეგს ავლენს (6_7ქულა). საბუნებისმეტყველო საგნები ამის მიზეზად კვირეული დატვირთვის სიმცირეს ასახელებს, რომ თითოეული საგანი ერთი საათი ისწავლება და მოსწავლეები ვერ აანალიზებენ კვირიდან_კვირამდე ახსნილ საკითხებს. კოლეგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებში ამართლებს ჯგუფური მუშაობის პრინციპი. რეკომენდაციის სახით მირჩევენ რომ მოტივაციის ზრდის მიზნით მოსწავლეები თავად ჩავრთო თვალსაჩინოების შექმნის პროცესში, ასევე გამოვიყენო ინტერნეტ რესურსები, ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით.

კოლეგების რეკომენდაციების გათვალისწინებით და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე ინტერვენცია:

პირველი შემაჯამებლის მოსამზადებელ ეტაპზე საგაკვეთილო პროცესში ჩავრთე ისტ_ი აქტიურად და საგაკვეთილო პროცესი დავტვირთე თვალსაჩინოებებით. შესაბამისად წინა წლებთან შედარებით უკეთესი შედეგი მივიღე. ვფიქრობ ეს განაპირობა, ასევე არჩევითბოლოიანი ტესტური დავალებების რაოდენობამ.

ინტერვენციის განხორციელებამ დადებითი შედეგები გამოიღო მთელი კლასისათვის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მიმდინარე შეფასებისას აკადემიურად დაბალი შედეგის მქონე მოსწავლეებმა შემაჯამებელ სამუშაოებში შედეგები გააუმჯობესეს.

ანკეტის შევსების შემდეგ ვნახე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ იგრძნო, რომ დავალების მრავალფეროვნებამ, კერძოდ დიაგრამებზე მუშაობამ შემაჯამებლის შედეგებზე დადებითად იმოქმედა. ეს უკანასკნელი გაიზომა შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებით.

სემესტრის განმავლობაში ჩავატარე ორი შემაჯამებელი სამუშაო. პირველი შემაჯამებელი დაწერა 19 -მა მოსწვლემ, ხოლო მეორე შემაჯამებელი 20 -მა მოსწავლემ(ერთი მოსწავლე დაგვემატა ნოემბრიდან)

წინა მოსამზადებელ ეტაპზე დავგეგმე შემდეგი ინტერვენცია: საგაკვეთილო პროოცესში ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენება ვებ გვერდის_ https://learningapps.org _ ის საშუალებით.
https://learningapps.org/myapps.php?displayfolder=1400151

პირველი შემაჯამებელის დაწერის შემდეგ ვაწარმოე ანკეტირება მოსწავლეებთან. ანკეტა შეავსო 19- მა მოსწავლემ. ანკეტირების ანალიზი ასეთია:


1. შემაჯამებელი დავალების რომელი ტიპია თქვენთვის საინტერესო და მოსახერხებელი?
12
10
8
6
4
2
0


2. გამოგადგა თუ არა ელექტორნული რესურსები შემაჯამებელი დავალების წერის დროს?
დიახ
არა



როგორც ანკეტირების შედეგად გამოვლინდა , მოსწავლეთა უმრავლესობისათვის პრობლემას წარმოადგენს ღია დავალებები და ცხრილებზე მუშაობა, შემაჯამებლის სასურველ ფორმად კი დახურულ კითხვებზე პასუხს თვლიან;

რეკომენდაციები:

ამ გამოკითხვის შედეგად რეკომენდირებულია აღნიშნულ კლასში გამოყენებული იქნეს ელექტრონული რესურსები, რადგან გაიზარდოს მოსწავლის მოტივაცია აღნიშნული საგნის მიმართ. განუვითარდეთ მათ ინფორმაციის გააზრების , დახარისხების და ხანგრძლივად დამახსოვრების უნარ-ჩვევები. საჭირეობის შემთხვევაში მოახდინონ ინფორმაციის ტრანსფერი.

დასკვნა: მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად გამოვლიდა,რომ ელექტრონული რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას შესასწავლის განმტკიცებას. მოსწავლეები თვლიან, რომ ვიზუალური მასალა დაეხმარება მათ საკითხის უკეთ ათვისებაში , რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის. ასევე ეს მეთოდი მათ დაეხმარებათ ხანგრძლივად დარჩეთ მკვიდრი წარმოდგენა საკითხის შესახებ. ვიზუალური და ელექტრონული მასალის საშუალებით მოსწავლეები განივითარებენ არამარტო პროცედურულ, არამედ პირობისეულ უნარ-ჩვევებს.

პირველი ანკეტირების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე შემდეგი ინტერვენცია. სასწავლო პროცესში ჩავრთე მშობლები. გავაცანი ზოგადი ინფორმაცია და წინასწარ გავუგზავნე შემაჯამებელი საკითხების ჩამონათვალი. კონტროლის და ზედამხედველობის შედეგად, ორივე მხარის ძალისხმევით შედეგი კიდევ უფრო გაუმჯობესდა მეორე შემაჯამებელი დავალების შესრულებისას.

მე–2-ე შემაჯამებელი იყო კომბინირებული, მოიცავდა როგორც ღია შეკითხვებს, ტესტებს, ასევე მარტივი გრაფიკიების აგებას და გამოთვლების წარმოებას, რომელსაც მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ. შესაბამისად , შესანიშნავად გაართვეს თავი. ჩემი აზრით ეს განაპირობა იმან, რომ მოსწავლეებმა კარგად აითვისეს ატმოსფეროს და კლიმატის თემასთან დაკავშირებული საკითხები, გამოუმუშავდათ დიაგრამებზე და სქემებზე მუშაობის უნარ_ჩვევები.

შემაჯამებელი წერების მონაცემთა ანალიზი

მიღებული ქულა	შემაჯამებელი სამუშაო	
	I	II
	მოცემულ ქულათა რაოდენობა	მოცემულ ქულათა რაოდენობა
3_4	0	0
5_6	0	0
7_8	5	2
9_10	14	18


100%
80%
60%
40%
20%
0%
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19
დავალება N1



მეორე შემაჯამებელის დაწერის შემდეგ ვაწარმოე ანკეტირება მოსწავლეებთან. ანკეტა შეავსო 20- მა მოსწავლემ. ანკეტირების ანალიზი ასეთია:



მეორე შეკითხვა იყო ღია, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობამ(10) დააფიქსირა, რომ უკეთესი შედეგის მიღწევაში დაეხმარა ის, რომ კარგად იყო მომზადებული შემაჯამებელი დავალებისთვის, ნაწილი (6)კი თვლის რომ ვიზუალური მასალა დაეხმარა უკეთესი შედეგის მიღწევაში, ნაწილის(4) აზრით კი მშობელთა აქტიურმა ძალისხმევამ და კონტროლმა განაპირონა შედეგის გაუმჯობესება.

3.4 პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევის კომპეტენციის უნარის ფლობა მასწავლებელი კოლეგებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს , ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში (პროფესიული განვითარება , მუხლი 133,)

1)შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება ,საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.(პროფესიული განვითარება მუხლი 139)
2) სწორედ ამიტომ "მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის " მიხედვით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ერთ ერთი სავალდებულო აქტივობაა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იდენტიფიცირებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კვლევის განხორციელება , ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად პრაქტიკული კვლევის განხორციელება სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე. კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება , მისი სისტემატური დოკუმენტირებადა გაფორმება კვლევის ანგარიშის ,სტატიის , პროექტის და სხვა სახით. 15 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს .
ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა ,ჩატარებული მასწავლებელთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის , სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. პროფესიონალია მასწავლებელი , რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება, პოვნა, ახალი იდეების , სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო წამოჭრილი სიძნელეების დროს კი არ არის საჭირო , არამედ ახალი იდეების , ინოვაციების გამოსაცდელად.
ამრიგად , პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის პედაგოგების , დირექტორების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული მასწავლებლის , სკოლის საქმიანობის , სწავლა სწავლების და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და გაუმჯობესების მიზნით. პრაქტიკის კვლევის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კვლევაში ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საუკეთესო საშუალებაა, პროფესიულად მზარდი მასწავლებელი მუდმივად განაახლებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, რაც სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა და კვლევის შედეგების გაზიარება დაეხმარება კოლეგებს თვითონ წარმართონ პედაგოგიური კვლევა, პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს კვლევის შედეგების გაცნობით დააკვირდნენ მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესს.

თავი 4
პროექტის ვადები, მიგნებები , რეკომენდაციები, დასკვნა ,ბიბლიოგრაფია.

4.1 კვლევის ვადები

აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
პრობლემის იდენტიფიცირება	X			
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X			
შემაჯამებელი სამუშაოს გრაფიკის შედგენა	X			
შემაჯამებელი სამუშაოს წარმოება			X	X
პირველი შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის წარმოება			X	
კითხვარის შედგენა, დამუშავება	X	X		
გამოკითხვა/ინტერვიუ/შეფასება	X	X		
მიღებული შედეგების ანალიზი		X	X	
ინტერვენციის განხორციელება		X	X	
მოსწავლეთა ანკეტირება			X	X
მოსწავლეთა ანკეტირების შედეგების ანალიზი			X	X
განხორციელებული ინტერვენციების შედეგების ანალიზი		X	X	X
პრეზენტაცია სასაკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა				X

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

1. მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს არგუმენტირებული მსჯელობა და ღია დავალებების შესრულება;

2. მოსწავლეთათვის პრობლემაა სივრცეში ორიენტირება

3. თეორიული მასალის პრაქტიკული აღქმა.

4. მოსწავლეებს უჭირთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების რეალურად შეფასება;

5.შემაჯამებელი დავალებების **მრავალფეროვანი ფორმები** მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას იძლევა;

6.მოსწავლეთა განსაკუთრებული მოტივაცია გამოვლინდა **დიაგრამებზე** და ცხრილებზე მუშაობისას, შედეგიც ყველაზე უკეთესი სწორედ ამგვარი ფორმით შესრულებულ შემაჯამებელ დავალებაში დაფიქსირდა;

რეკომენდაციები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1.მასწავლებელმა ყურადღება მეტად უნდა გაამახვილოს არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებაზე(აქტიურად გამოიყენოს კოგნიტური რუკები, თვალსაჩინოება და ვიზუალური მასალა);

2. მასწავლებელმა თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით ბევრი სავარჯიშოები გამოიყენოს.

3. გამოიყენოს ისეთი აქტივობები, რომელიც მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას უზრუნველყოფს მოსწავლეებში

4. მიაწოდოს ეფექტური /ეფექტიანი და დროული უკუკავშირი.

5.შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვანი ტიპების გამოყენება.

6. ელექტრონული რესურსების და ისტ_ის აქტიური გამოყენება.

ერთერთი რეკომენდაცია შეიძლება იყოს ის, რომ მოსწავლეებმა ხშირად მიიღონ მონაწილეობა მსგავს გამოკითხვებში რადგან საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას და კრიტიკულ აზროვნებას მიეჩვიონ.

რეკომენდაცია: მოსწავლეების ანკეტირების შედეგად გამოვლინდა, რომ ვიზუალური რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვანია. ეს ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას და აქტიურ ჩართულობას . ამ პრინციპით მასალის ათვისება უფრო უმარტივდებათ მოსწავლეებს. უკვე ჩემს მიერ გამოყენებული რესურსები ხელს უწყობს ესგ-ს მიზნების მიღწევას და მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებას. განსხვავებაც სწორედ ეს არის ტრადიციულ გაკვეთილსა და თანამედროვე ვიზუალიური მასალით დატვირთულ გაკვეთილს შორის , სადაც მოსწავლე მეტად მოტივირებულია.

ვთვლი, რომ ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა ელექტრონული და ვიზუალური მეთოდების გამოყენებით , ასევე მშობლებთან აქტიური კომუნიკაციით, აღმოჩნდა მოსწავლეთათვის მოტივაცია, რათა აქტიურად

ჩართულიყვნენ საგაკვეთილო პროცესში და გაზრდილიყო მათი მიღწევები გეოგრაფიის გაკვეთილზე , რაც გამოვლინდა მათ მიერ შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებში.

4.2 დასკვნა:

კვლევაში გამოყენებული მეთოდიკა მიმართული იყო აკადემიური მოსწრების ამაღლებისაკენ მოსწავლეებში და ითვალისწინებდა მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებას შემაჯამებელ სამუშაოებში. ამ მხრივ კვლევამ დადებითი შედეგები აჩვენა. განხორციელებული ქმედებებით შემაჯამებელ სამუშაოებში შედეგების დონე ამაღლდა.

შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლებიც დამეხმარება სწავლა სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე(კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის ,ცვლილების დაგეგმვა –განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს) შეიძლება დავასკვნათ,რომ მეშვიდე კლასში შემაჯამებელ დავალებებში დაბალი შედეგების მიზეზებია:

- მოსწავლეების ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა.
- საგნის სირთულე
- მოსწავლეთა არგუმენტირებული მსჯელობისა და ანალიზის უნარების დაბალი ხარისხი;
- ინფორმაციის ტრანსფერის უნარის დეფიციტი.

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა,რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო.

მიმაჩნია რომ ,ცვლილებები უნდა განხორციელდეს სწავლების მეთოდებთან მიმართებაში სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უნდა შევძლოთ ხშირად ჩავატაროთ ისტ – ით გამდიდრებული გაკვეთილები. უნდა შეგვეძლოს 21 – ე საუკუნისთვის საჭირო უნარ–ჩვევები გამოვუმუშაოთ ბავშვებს, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიო გამოწვევების

წინაშე.მოახდინონ სხვადასხვა საკითხის ირგვლივ მკვიდრი წარმოდგენების გათავისება , სასისხლხორცება. საჭიროების შემთხვევაში მიღებული ინფორმაციის დახარისხება, გამოყენება

კვლევის შედეგების და თვითონ კვლევის გაზიარება კოლეგებთან დაეხმარება ჩემ კოლეგებს თვითონ წარმართონ მსგავსი კვლევები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის, ასევე შეიმუშაონ საჭირო სტრატეგიები მოსწავლეთა შემაჯამებელ სამუშაოში შედეგების გაუმჯობესებისთვის.

4.3 ბიბლიოგრაფია

1. სწავლება და შეფასება- დამხმარე სახელმძღვანელო(II)
   მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2008;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 სასწავლო წელი
3. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 სასწავლო წელი
4. მანანა ბაქრაძე (თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში,2006)
5. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ტრენინგის მასალა)
6. სწავლება და შეფასება,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,2008;
   http://elibrary.emis.ge/ge/books/details/52
7. მანანა ბოჭორიშვილი,შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზის პრაქტიკა,მასწავლებლის წიგნი,2017.
   http://mastsavlebeli.ge/?p=1789
8. როგორ შევქმნათ შემაჯამებელი დავალება და შესაბამისი ანალიტიკური რუბრიკა,გიორგი ნოზაძე,2016.)
   http://mastsavlebeli.ge/?p=12442
9. სწავლება და შეფასება. შეფასების მეთოდები https://en.calameo.com/books/005033132b0d1ace8a0af
10. ნათია კილაძის პორტფოლიო. შეფასების პოლიტიკა http://natiakiladze.blogspot.com/p/blog-page_46.html
11. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის მშობელთა ჩართულობა თბილისი 2015
    http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

12. ლობჟანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016 http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
13. გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსიhttp://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201
14. ინტერნეტგაზეთი, http://mastsavlebeli.ge
15. ელექტრონული რესურსების პროგრამა https://learningapps.org/index.php?overview&s=&category=0&tool=

4.4 დანართები

დანართი 1

ა ნ კ ე ტ ა #1

გთხოვ პასუხი გასცე კითხვას

1. შემაჯამებელი ტესტის რომელი ნაწილია შენთვისსაინტერესო და მოსახერხებელი?

ა. ღია დავალებები ბ. არჩევითბოლოიანი კითხვები გ. ცხრილები

2. გამოგადგა თუ არა ელექტრონული რესურსები შემაჯამებელი დავალების წერის დროს?
ა.დიახ ბ. არა

3. რომელი ფაქტორი გიშლით ხელს შემაჯამებელ დავალებებში უკეთესი შედეგის მიღწევაში?
ა.დავალების სირთულე ბ. დროის სიმცირე გ. ორივე ფაქტორი

მადლობა მონაწილეობისთვის.

დანართი 2

ა ნ კ ე ტ ა #2

გთხოვ პასუხი გასცე კითხვას და დაასაბუთო შენი არჩევანი:

1. გაუმჯობესდა შენი შედეგი ახალი ტიპის შემაჯამებლის წერის დროს?
   ა) დიახ ; ბ) არა
2. როგორ ფიქრობ რატომ?

_____
_____
_____

მადლობა მონაწილეობისთვის.

დანართი 3

კითხვარი კოლეგების ანკეტირებისთვის

1. რა ტიპის დავალებებს მოიცავს თქვენს მიერ დაგეგმილი შემაჯამებლები მე_ 7_ე კლასში ?
   _____
   _____
   _____
2. მაქსიმუმ რამდენ შეკითხვას ან თავს აერთიანებს თითოეული შემაჯამებელი?
   _____
   _____

3. ჩანს თუარა შემაჯამებელ დავალებებში ანალიზის, სინთეზის, შეფასების უნარების გამოყენება?
_____
_____
_____

4. აფრთხილებთ თუ არა შემაჯამებელის დაწერამდე მოსწავლეებს?
_____

5. რა ღონისძიებებს მიმართავთ წინა მოსამზადებელ პერიოდში?
_____
_____
_____

6. აწვდით თუ არა ზოგად ინსტრუქციებს?
_____
_____

7. რას უდრის შემაჯამებელი ტესტის შედეგის საერთო რეიტინგული მაჩვენებელი?
_____
_____

8. რამდენად კმაყოფილი ხართ მოცემული თემის/თემების შეჯამებით მიღებული შედეგებით?
_____
_____
_____

9. რა მაჩვენებელს ავლენენ მოსწავლეთა უმრავლესობა?
ა) დაბალი (4_5 ქულა) _____
ბ) საშუალოზე დაბალი (6_7 ქულა) _____
გ) საშუალო (8 ქულა) _____
დ) მაღალი (9_10 ქულა) _____

10. რას მიგაჩნიათ მაღალი შედეგის პრიორიტეტად და დაბალი შედეგის მიზეზად?

_____
_____
_____

11. თქვენი შემაჯამებლების დადებითი და უარყოფითი მხარე

_____
_____
_____

12. დაბალი შედეგების შემთხვევაში , რა პრევენციის მექანიზმებს იყენებთ?

_____
_____

13. თქვენს მიერ განხორციელებულმა, რომელმა აქტივობამ მოგცათ მაღალი/ დადებითი შედეგი?

_____
_____
_____

14. რა რეკომენდაციებს მომცემთ და რჩევას გამიზიარებთ_ როგორ გავიდე მაღალ შედეგებზე ჩემს საგანში?

_____
_____
_____
_____
_____

დანართი 4

შემაჯამებელი 2

გასამეორებელი საკითხების ჩამონათვალი

1. ამინდის ელემენტები
2. ატმოსფეროს ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი
3. ატმოსფეროს ტემპერატურის განედური საფეხური
4. ატმოსფერული წნევა
5. ჰაერის ტემპერატურის გრაფიკის აგება
6. ატმოსფერული ტემპერატურის ამპლიტუდის გამოთვლა
7. ქარი და მისი სახეები
8. ნალექების წლიური განაწილების გრაფიკის აგება
9. ციკლონი და ანტიციკლონი
10. კლიმატური სარტყლები
11. ჰიდროსფერო და მსოფლიო ოკეანე
12. ბიოსფერო და ბუნებრივი ზონები

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

შპს კერძო სკოლა „ოქროს აკვანში“ განვახორციელე პრაქტიკის კვლევა **შემაჯამებელ დავალებებში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზების და შედეგის გაუმჯობესების გზების კვლევა გეოგრაფიის გაკვეთილზე**

კვლევის მიზანი იყო **დამედგინა** მეშვიდე კლასში გეოგრაფიის შემაჯამებელი დავალებების დაბალი შედეგების მიზეზები და დამეგეგმა მათ აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ქმედებები. შედეგის გაუმჯობესება და სწავლების ხარისხის ამაღლება.ინტერვენციების საშუალებით მომეხერხებინა ამ პრობლემის გადაჭრა. მიღებული შედეგი მეტნაკლებად დადებითია და ვთვლი რომ შეიძლებოდა მისი კოლეგებთან გაზიარება.

კვლევა განხორციელდა 2019–2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში, სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კვლევა ჩატარდა როგორც თვისებრივი ,ისე რაოდენობრივი თვისებების გამოყენებით ,ინსტრუმენტებს კი წარმოადგენდა ფოკუსირებული დაკვირვება , ინტერვიუ , ღია და დახურული ანკეტირება და კითხვარი. შედეგის მისაღწევად გამოყენებული იქნა ინტერვენციები , რომლებიც კვლევის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე დაიგეგმა. ინტერვენციების დაგეგმვამდე გავესაუბრე კოლეგებს ვინც მათ ასწავლიდათ და ვაწარმოე მათთან ანკეტირება, ვაწარმოე მოსწავლეთა ანკეტირება წერილობითი ფორმით, კოლეგების გამოკითხვა წერილობითი და ზეპირი ფორმით. მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო ისტ–ით გამდიდრებული გაკვეთილები. კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. დაინტერესდნენ შედეგებით და გაუჩნდათ სურვილი საკუთარი პრაქტიკის კვლევა განახორციელონ. თემის არჩევა მათი პრაქტიკის საჭიროებიდან მოხდება.თუმცა ზოგი ცოტა ეჭვის თვალით უყურებს ამ პროცესების

განხორციელებას , რადგან თვლიან რომ დროის უბრალო ხარჯვაა და ეს ალბათ სწავლის პროცესში ვერ დაეხმარებათ. ვისთვისაც კვლევის გაზიარება დადებითი იყო ,მიიჩნევენ რომ თვითონაც განახორციელებენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკის კვლევას.

უკუკავშირი იყო დადებითი. მათ აღნიშნეს რომ, ჩატარებული კვლევა საკმაოდ რთულ საკითხს ეხება, თუმცა შედეგიანია. ისინი ფიქრობენ, რომ მსგავსი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს წინსვლაში და შედეგების გაუმჯობესებაში.

კვლევის ნაკლოვანებად მიმაჩნია: რამდენიმე მოსწავლემ მაქსიმალური შედეგი ვერ აჩვენა, რაც ვფიქრობ გამომდინარეობს ისევ და ისევ საგნის სირთულიდან და მოსწავლეთა მხრიდან ყურადღების გაფანტულობით.

პრაქტიკის კვლევა განთავსებულია ჩემს პირად ბლოგზე.

მირანდა ფორჩხიძე
2020 წლის 14 ივნისი

https://mirandaporchxidze.blogspot.com/p/blog-page_49.html
https://mirandaporchxidze.blogspot.com